მომსახურების ხელშეკრულება
(არსებითი პირობები)

ხელშეკრულების დადების ადგილი: თბილისი
ხელშეკრულების დადების თარიღი: **00 თვე 0000 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი	სს „თიბისი ბანკი“
საიდენტ. კოდი	204854595
მისამართი	თბილისი, მარჯანიშვილის ქ.N7
წარმომადგენელი	----------
თანამდებობა	
ტელ.	2 27 27 27
ელ. ფოსტის მისამართი	----------
საკონტაქტო პირები:	----------
1.2. კონტრაჰენტი	----------
საიდენტ.კოდი/პირადი ნომერი	----------
მისამართი	----------
წარმომადგენელი	----------
თანამდებობა	
ტელ.	----------
ელ. ფოსტის მისამართი	----------
საბანკო რეკვიზიტები	ბანკის დასახელება: ბანკის კოდი ანგარიშის ნომერი
საკონტაქტო პირები:	----------

მომსახურების ხელშეკრულება, წინამდებარე დოკუმენტსა და მის დანართებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებულ პირობებთან ერთად რეგულირდება მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობებით, რომელიც განთავსებულია ვებ. გვერდზე ttps://link.tbc.ee/3r3qYrvl **და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ სრულად გაცნობილია ვებ. გვერდზე განთავსებულ მომსახურების ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ეთანხმება მათ.**

2. მომსახურება; მომსახურების გაწევის პირობები

2.1 მომსახურება	აღწერა: ან/და ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მომსახურება
2.2 მომსახურების გაწევის ვადა	აღწერა: ან/და ხელშეკრულების ხელმოწერიდან/ ბანკის მოთხოვნის გაგზავნიდან / ავანსის/საფასურის გადახდიდან ---------- სამუშაო დღე
2.3 მომსახურების გაწევის ადგილი (ობიექტი)	----------
2.4 გარანტიის პირობები	
2.4.1 კონტრაჰენტი დამკვეთს აძლევს გარანტიას	კი/არა
2.4.2 საგარანტიო პერიოდი	--------- თვე
2.4.3 საგარანტიო პერიოდში ხარვეზის აღმოფხვრის ვადა	ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან ---------- კალენდარული დღე
2.5. მომსახურების გაწევის პერიოდი/ხელშეკრულების მოქმედების ვადა (გრძლევადიანი და მრავალჯერადი მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში)	ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ---------- წელი

3. საფასური

3.1 საფასური	----- ლარი / განისაზღვრება დანართში მითითებული ფასების შესაბამისად
3.1.1 ავანსის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	----------
3.1.2 ავანსის გადახდის ვადა და პირობები	აღწერა: ან/და ---------- დღე ხელშეკრულების ხელმოწერიდან
3.2 საფასური გადახდის ვადა და პირობები	აღწერა: ან/და---------- სამუშაო დღე ხელშეკრულების ხელმოწერიდან / ბანკის მიერ მომსახურების მიღების დადასტურების შესახებ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან
3.3 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი	ბანკის მხრიდან: სახელი გვარი პ.ნ. კონტრაჰენტის: მხრიდან სახელი გვარი პ.ნ.

4. პირგასამტეხლო

4.1 პირგასამტეხლო მომსახურების გაწევის ვადის, ასევე ხელშეკრულებით დადგენილი კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადების	მომსახურების საზღაურის- ----------% ერთჯერადად და მომსახურების საზღაურის ----------% ყოველი

ბანკი
_____

კონტრაჰენტი
_____

დარღვევისთვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის	ვადაგადაცილებული ან/და არაჯეროვნად შესრულებული დღისათვს
4.2 პირგასამტეხლო საზღაურის გადახდის ვადის დარღვევისთვის	გადასახდელი თანხის ----------%
4.3 პირგასამტეხლო ნაკლის და/ან ხარვეზის აღმოფხვრის ვადის დარღვევისთვის (მათ შორის საგარანტიო პერიოდში)	მომსახურების საზღაურის ----------% ერთჯერადად და მომსახურების საზღაურის ----------% ყოველი ვადაგადაცილებული ან/და არაჯეროვნად შესრულებული დღისათვს

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი - ხელშეკრულების დადების თარიღი / მომავალი თარიღი

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1. კონტრაჰენტი ვალდებულია:

6.1.1. სამუშაო შეასრულოს ხარისხიანად, წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით. ყველა მასალა თუ აქსესუარი უნდა იყოს ბანკის მიერ მითითებული სპეციფიკაციის შესაბამისი;

6.1.2. უხარისხოდ და ხელშეკრულების პირობების დაუცველად შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, აღმოფხვრას შესაბამისი ნაკლი და შეასრულოს დამატებითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

6.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დაიწყოს -------- წლის --------. ამასთან, კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ იცნობს იმ ტერიტორიის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, სადაც მდებარეობს ობიექტი, და აცხადებს, რომ არ არსებობს მისთვის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც შეუძლებელს გახდის ამ პუნქტში მითითებულ ვადაში სამუშაოების სრულყოფილად შესრულებას.

6.1.4. სამუშაოები ჩაატაროს დამკვეთთან შეთანხმებით, სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით; სამუშაოები ჩაატაროს ყოველდღიურად სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაობთან ერთად პარალელურ რეჟიმში.

6.1.5. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში უზრუნველყოს სამუშაო ფართის იზოლირება სხვა ფართისგან და მისი შეფუთვა (ფირმის სარეკლამო აბრით ან სხვა მასალით);

6.1.6. კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ობიექტის დანიშნულება, რომ ობიექტი განკუთვნილია კომერციული ბანკის ფილიალისთვის/სერვის-ცენტრის ფუნქციონირებისათვის, შესაბამისად კონტრაჰენტი კისრულობს ვალდებულებას, რომ სამუშაოს განხორციელებისას და დასრულების შემდეგ ობიექტი იფუნქციონირებს შეუფერხებლად, სამუშაოს ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა სამუშაოები შესრულებული იქნება და შესაბამისი აგრეგატები/მექანიზმები დამონტაჟებული იქნება ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სხვა მოწყობილობა-დანადგარების, აგრეთვე გაყვანილობების (ელექტროგაყვანილობა, ინტერნეტი, ტელევიზია, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ბუნებრივი აირი, უსაფრთხოებისა და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების და ა.შ.), რომლებიც მდებარეობს ობიექტში, შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

6.1.7. კონტრაჰენტი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის, მათ შორის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და სხვა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ამასთანავე, სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის სპეციფიკა, რომ ობიექტის დანიშნულებაა კომერციული ბანკის ფილიალის/სერვის ცენტრის ფუნქციონირება.

6.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, სხვა პირობებთან ერთად, კონტრაჰენტი:

6.1.8.1. კისრულობს პასუხისმგებლობას სამუშაოს განხორციელების ხარისხიან და უსაფრთხო მეთოდებზე; კონტრაჰენტი პასუხისმგებელია სამუშაობის ჩატარების ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის, მათ შორის მესამე პირთა დაზიანებაზე და/ან დაღუპვაზე, რაც გამოწვეული იქნება უსაფრთხოების ნორმებისაგან გადახვევით;

6.1.8.2. პასუხისმგებელია ბანკის წინაშე ქვე-შემსრულებელიების (ქვეკონტრაქტორი) მიერ სამუშაოების შესაბამისი ნაწილის სათანადო შესრულებაზე;

6.1.8.3. უზრუნველყოფს სამუშაოს ჩატარების ტერიტორიაზე საჭირო მასალების, მოწყობილობების, ნაკეთობების, კონსტრუქციების, სამშენებლო ტექნიკის მიტანას, ჩამოტვირთვას და დასაწყობებას;

6.1.8.4. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი და მოზიდული ძალებითა და საშუალებებით სამუშაოების ჩატარების ტერიტორიაზე განათავსებს დროებით ნაგებობებს, რომლებიც საჭიროა მასალების შესანახად და სამუშაოების შესასრულებლად;

6.1.8.5. სამუშაოების წარმოებისას ახორციელებს სამუშაოების ჩატარების ტერიტორიის დალაგებასა და მოვლას, სამუშაოების წარმოებისას და დასრულებისთანავე უზრუნველყოფს სამშენებლო ნარჩენების ობიექტიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან დროულად გატანას ადგილობრივი თვითმმართველობის და/ან მმართველობის ორგანოების მიერ გამოყოფილ/ნებადართულ ადგილას;

6.1.8.6. ვალდებულია სამუშაო მოედნის უსაფრთხოების მიზნით შემოსაზღვროს იგი. ვალდებულია არ დაუშვას ზემოხსენებული საზღვრის მიღმა ტერიტორიის დანაგვიანება/დაბინძურება ან სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დასაწყობება;

6.1.8.7. ვალდებულია უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება ფეთქებად საშიში და ადვილად აალებადი მოწყობილობებისა და მასალების განლაგების ადგილებში და უზრუნველყოს ასეთი მასალებისა და მოწყობილობების შესაბამისი წესით შენახვა;.

6.1.8.8. ვალდებულია, სამუშაო მოედანზე იქონიოს ხანძართან ბრძოლისათვის საჭირო პირველადი აღჭურვილობა. შედუღების სამუშაოების წარმოების ადგილას იქონიოს შესაბამისი ცეცხლმაქრი;

6.1.8.9. ვალდებულია არ გამოიყენოს სამშენებლო მასალები, რომლებიც შეიცავს აზბესტს ან სიცოცხლისათვის/ჯანმრთელობისათვის სხვა მავნე ნივთიერებებს, სუნს, გამონაბოლქვს და ა.შ.

6.1.8.10. სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში, სანამ ობიექტს (ობიექტის იმ ნაწილს რომელზეც ჩატარედება სამუშაოები) მიღება-ჩაბარების აქტით არ დაუბრუნებს დამკვეთს, პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანის ან/და ზარალის დადგომაზე (გამოწვეული მისი საქმიანობით) როგორც დამკვეთის წინაშე ასევე მესამე პირების მიმართ;

6.1.8.11. ვალდებულია, დაიცვას ობიექტზე არსებული უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის ობიექტზე შესვლისა და გასვლის, აგრეთვე ობიექტის შიგნით გადაადგილების წესები. კონტაჰენტის ნებისმიერი თანამშრომელი/ქვე–კონტრაქტორი ვალდებულია, დაემორჩილოს დამკვეთის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მითითებებს.

6.1.9. კონტრაჰენტი კისრულობს ვალდებულებას, გამოიყენოს და შესაბამისად ბანკს საკუთრებაში გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მასალა/აგრეგატი/მექანიზმი. ამ მუხლის მიზნებისათვის ნივთობრივად უნაკლო მასალის/აგრეგატის/მექანიზმის ქვეშ მხარეები გულისხმობენ ნივთს, რომელიც უხმარია, არ აქვს რაიმე ხარვეზი, ვარგისია ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და დამონტაჟებულია მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო უფლებრივად უნაკლო მასალის/აგრეგატის/მექანიზმის ქვეშ მხარეები გულისხმობენ ნივთს, რომელიც არ არის დაყადაღებული, დაგირავებული და/ან რაიმე

სხვა ვალდებულებით დატვირთული და/ან რომლის მიმართაც მესამე პირს არ შეუძლია საფუძვლიანი პრეტენზია/მოთხოვნა წამოაყენოს.

6.1.10. კონტრაჰენტი გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული მასალების, აგრეგატების და მექანიზმების ხარისხი შესაბამისობაში იქნება ბანკის მოთხოვნებთან, სახელმწიფო სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან.

6.1.11. კონტრაჰენტი ვალდებულია, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამკვეთი, რომ:

6.1.11.1. თუ სამუშაოსთან დაკავშირებით ბანკის მითითება შესრულდება, სამუშაო არამტკიცე ან უხარისხო იქნება;

6.1.11.2. არსებობს კონტრაჰენტისაგან დამოუკიდებელი რაიმე გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაოს სიმტკიცეს ან ხარისხს.

6.1.12. სამუშაოების შესრულების პროცესში განხორციელებულ ფარულ სამუშაოებზე (იგულისხმება სამუშაოები რომლის ვიზუალური შემოწმება ვერ ხდება) ყოველ ჯერზე შეადგინოს შესაბამისი აქტი, ფოტო მასალით და ჩატარებული სამუშაოების შესაბამისი აღწერილობით („ფარული სამუშაოების აქტი") და სამუშაოების ანაზღაურების ყოველ ეტაპზე წარუდგინოს ბანკს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა საჭირო დოკუმენტთან ერთად.

6.1.13. სამუშაოების შესრულებისას და ზოგადად საქმიანობის პროცესში დაიცვას „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნები. კონტრაჰენტი ვალდებულია დაიცვას მათ შორის (და არა მხოლოდ) შემდეგი მოთხოვნები:

6.1.13.1. კონტრაჰენტს უნდა ჰყავდეს მოწვეული ან/და შესაბამისი ბრძანებით დანიშნული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი ექნება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული ეროვნული პროგრამა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერთიფიკატი;

6.1.13.2. კონტრაჰენტს უნდა გააჩნდეს და დამტკიცებული ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;

6.1.13.3. კონტრაჰენტს მხრიდან სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართულ ყველა პირს, უნდა ჰქონდეს გავლილი სწავლება/ინსტრუქტაჟი/ტრენინგი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მინიმალურ საკითხებზე და თითოეულ მათგანს უნდა გააჩნდეს აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;

6.1.13.4. კონტრაჰენტს უნდა ჰქონდეს შეფასებული სამუშაოს შესრულების ადგილზე არსებული რისკები და გააჩნდეს აღნიშნული რისკების შეფასების დოკუმენტი;

6.1.13.5. კონტრაჰენტის მხრიდან სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართულ ყველა პირი აღჭურვილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (მაგ: სპეც.ფეხსაცმელი, პირბადე, ჩაფხუტი და ა.შ.);

6.1.13.6. შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, კონტრაჰენტს უნდა ჰქონდეს კოლექტიური დაცვის საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონდებლობით დადგენილ სტანდარტებს (სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შემსრულებლის მხრიდან სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართული ყველა პირი აღჭურვილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვის საშუალებებით, მაგ: მოაჯირები და ა.შ.).

6.1.14. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ აკმაყოფილებს 6.1.13. პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და გააჩნია ყველა შესაბამისი დოკუმენტი, რაც 6.1.13. პუნქტშია აღნიშნული. კონტრაჰენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, წარუდგინოს მას 6.1.13. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები.

6.1.15. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.13.1, 6.1.13.2 და 6.1.13.3 პუნტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობის/შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონტრაჰენტი თვითონ აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.1.16. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.13.4, 6.1.13.5 და 6.1.13.6 პუნტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობის/შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ აღნიშნულმა გამოიწვია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ბანკის დაჯარიმება/სანქცირება, კონტრაჰენტი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ჯარიმის/სანქციის შესაბამისი თანხა.

6.1.17. კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს. ამასთან, ხსენებული მოთხოვნები კონტრაჰენტის მიერ დაცული იქნება ბანკთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამასთანავე, კონტრაჰენტი ვალდებულია ბანკისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაცია განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით.

6.2. ბანკი ვალდებულია:

6.2.1. აუნაზღაუროს კონტრაჰენტს ხელშეკრულების საფუძელზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს სრულფასოვნად და ჯეროვნად.

6.3. ბანკი უფლებამოსილია:

6.3.1. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიმდინარეობა და იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით იქნება შესრულებული, მოსთხოვოს კონტრაჰენტს ნაკლის გამოსწორება დამატებითი სამუშაოების შესრულების სახით ან/და ზიანის ანაზღაურება სრული ოდენობით.

6.3.2. ბანკი ამოწმებს კონტრაჰენტის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან. ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურეობა თუ სამუშაოები არასრულად და არაჯეროვნად იქნება შესრულებული და არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს, რაც არ ჩაითვლება მომსახურების მიწოდებად/გაწევად და ბანკს არ წარმოეშვება მომსახურების ანაზღაურების ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში კონტრაჰენტი ვალდებულია, გამოასწოროს ხარვეზი, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაო. ამასთან, თუ ხარვეზი უმნიშვნელო ხასიათისაა, დასაშვებია, რომ ხარვეზის გამოსწორების ნაცვლად, მოხდეს საზღაურის შემცირება შესაბამისი ოდენობით. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს მიღება-ჩაბარების აქტში და მიეთითოს სამუშაოს რა ნაწილი მიიჩნევა ბანკის მიერ მისაღებად და რა - მიუღებლად. მხარეები აქვე აცხადებენ, რომ თუ ხარვეზი უმნიშვნელო ხასიათისაა და მისი აღმოფხვრა შესაძლებელია სამუშაოების დასრულებისათვის ხელშეკრულებაში მითითებული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და ბანკის მოთხოვნის შესაბამისად კონტრაჰენტის მიერ აღნიშნული უმნიშვნელო ხარვეზი სრულად იქნება აღმოფხვრილი მოცემულ 5 (ხუთი) დღიან ვადაში, ასეთ შემთხვევაში კონტრაჰენტის მიმართ არ გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება უმნიშვნელო ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, რომლის შესახებაც მიღება-ჩაბარების აქტშიც აღინიშნება.

6.3.3. თუ სამუშაოების ანაზღაურების ყოველ ეტაპზე კონტრაჰენტის მიერ 6.1.12 პუქნტის შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი ,,ფარული სამუშაოების აქტი'', ბანკი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს იმ ფარული სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არ იქნება წარმოდგენილი ,,ფარული სამუშაოების აქტი''. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს მიღება-ჩაბარების აქტში.

7. საგარანტიო მომსახურება

7.1 კონტრაჰენტი იძლევა ხელშეკრულების (მომსახურების) საგანზე მდგრადობის, ვარგისიანობის და შეთანხმებული ხარისხის გარანტიას.

7.2 ხელშეკრულების საგანზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, რომელიც აითვლება სამუშაოების დასრულების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან.

7.3 საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის ან მისი ნაწილის ნივთობრივი/უფლებრივი ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, კონტრაჰენტი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით სრულად გამოასწოროს/აღმოფხვრას ნაკლოვანება. თუ ნაკლი და/ან ხარვეზი ეხება სამუშაოების განხორციელებისას გამოყენებულ მასალებს და/ან აგრეგატებს/მექანიზმებს, კონტრაჰენტი ვალდებულია შეცვალოს ნაკლის მქონე/უვარგისი მასალა/აგრეგატი/მექანიზმი იგივე ან იგივე/უკეთესი ხარისხის უხმარი მასალით/აგრეგატით/მექანიზმით. ამასთან კონტრაჰენტი სრულად არის პასუხისმგებელი სამუშაოების ჩატარების ობიექტის ან/და მისი ნაწილის ჩამოქცევით (ჩამოშლით, ჩამონგრევით) გამოწვეულ ზარალზე და ზიანზე როგორც ბანკის ასევე სხვა მესამე პირთა მიმართ.

7.4 საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგანზე ან მის ნაწილზე ნივთობრივი/უფლებრივი ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, უდავოდ ჩაითვლება, რომ ნაკლი გამოწვეულია კონტრაჰენტის ქმედებით (ან უმოქმედობით). საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება კონტრაჰენტს.

7.5 შესრულებული სამუშაოები ან/და სამუშაოების ჩატარების ობიექტი (ხელშეკრულების საგანი), გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნივთობრივად ნაკლოვანია (არაჯეროვნად შესრულებულია, წუნდებულია) ასევე, თუ:

- შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციის და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების პირობებს;
- შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება სარემონტო-სარეკონსტრუქციო/ვინტილაციის სამუშაოების ნორმატივებს;
- კონტრაჰენტმა ან მისმა წარმომადგენელმა მოახდინა სამუშაოების ჩატარების ობიექტის ან/და მისი ნაწილის არასწორი მონტაჟი/ინსტალაცია/აზომვა და სხვა.

7.6. საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის ან მისი ნაწილის ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, ბანკი წერილობითი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ფორმით - ხელშეკრულებაში მითითებული მხარეების ელექტრონული ფოსტის მისამართების მეშვეობით) აცნობებს საგარანტიო მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ შემსრულებელს. შესაბამისი წერილის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარულ დღეში შემსრულებელი ,,ახდენს რეაგირებას'' ანუ ვალდებულია გამოცხადდეს (სამუშაოების ჩატარების ობიექტზე(მიავლინოს წარმომადგენელი ობიექტზე), შეისწავლოს გამოვლენილი ნაკლოვანება, რომლის დროსაც ადგენს ,,დეფექტურ აქტს'', რომელიც უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოების და მათი გონივრული დასრულების ვადებს, თუმცა მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერ შემთვევაში გამოვლენილი ნაკლი სრულად უნდა აღმოიფხვრას და/ან გამოიცვალოს შესაბამისი მასალა/აგრეგატი/მექანიზმი, კონტრაჰენტის მიერ ბანკისაგან საგარანტიო მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ შესაბამისი წერილის/შეტყობინების მიღებიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ვადაში (საგარანტიო პერიოდში ხარვეზის აღმოფხვრის ვადა).

7.7. თუ კონრტაჰენტი 7.6. პუნქტში დადგენილ ვადაში სრულად არ გამოასწორებს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს/არ აღმოფხვრის გამოვლენილ ნაკლოვანებას, ბანკი თვითონ ან/და სხვა მესამე პირის მეშვეობით გამოასწორებს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს/აღმოფხვრის ნაკლოვანებას. ასეთ შემთხვევაში კონტრაჰენტს ეკისრება გაწეული/დადასტურებული ხარჯების სრულად ანაზღაურება.

7.8. 7.6. პუნქტში დადგენილი ვადების გადაცილების შემთხვევაში კონტრაჰენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს შესაბამისი პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით.

8. დამატებითი დებულებები

8.1 ხელშეკრულების მიზნებისთვის, საფასური წარმოადგენს ფულადი თანხას, რომელსაც ბანკი გადაუხდის კონტრაჰენტს მომსახურების ჯეროვნად გაწევის სანაცვლოდ და მომსახურების გაწევის შემდეგ (თუ ხელშეკრულებით ავანსის გადახდის პირობა არ არის შეთანხმებული). საფასური მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ასევე ,,დაგროვებითი პენსიის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კონტრაჰენტის წილ შენატანს (თუ კონტრაჰენტი არამეწარმე ფიზიკური პირია). ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ გადასახადების ქვეშ მხარეები გულისხმობენ მხოლოდ იმ გადასახადებს, რომლის გადახდის ვალდებულება კონტრაჰენტს აქვს/წარმოეშვება ხელშეკრულების საფუძველზე. საზღაური მოიცავს ყველა ხარჯს, მათ შორის მომსახურების შესრულებაში ჩართული პერსონალის/მუშა ხელის ანაზღაურებას, ტრანსპორტირების ხარჯს, მონტაჟის წარმოების ხარჯებს, ტექნიკის/ინვენტარის შენახვისა და ექსპლუატაციის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე ყველა სხვა საჭირო ხარჯებს.

8.2 მომსახურების ჯეროვანი გაწევა უნდა დადასტურდეს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი დასაბუთებულად არ იწონებს გაწეულ მომსახურებას (მის ნაწილს), ბანკი უფლებამოსილია, არ მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს, რაც არ ჩაითვლება მომსახურების მიწოდებად და კონტრაჰენტი ვალდებულია, გამოასწოროს ხარვეზი. ამასთან, დასაშვებია, რომ ხარვეზის გამოსწორების ნაცვლად, მოხდეს საფასურის შემცირება შესაბამისი ოდენობით. ასეთ შემთხვევაში მხარეთა მიერ შესაბამისი აღნიშვნა გაკეთდება მიღება–ჩაბარების აქტში და მიეთითება გაწეული მომსახურების რა ნაწილი მიიჩნევა ბანკის მიერ მისაღებად და რა – მიუღებლად, აგრეთვე - საფასურის შემცირებული ოდენობა.

8.3 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ბანკი არ მოითხოვს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ამ ხელშეკრულების საფუძველზე და პირობების შესაბამისად, სრულად გადაუხდის კონტრაჰენტს მომსახურების საფასურს, საფასური გადახდა ადასტურებს, რომ კონტრაჰენტმა შეასრულა და ბანკმა მიიღო წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განსაზღვრული მომსახურება. ორივე მხარისთვის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დროდ განისაზღვრება საფასური სრულად გადახდის დღე.

8.4 ბანკი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ მომსახურების გაწვისთვის დადგენილი ვადის გადაცილება შეადგენს 10 (ათი) დღეს. ამასთან, თუ ხელშეკრულებით ან/და მოთხოვნით განსაზღვრულია რამდენიმე ვადა ამ პუნქტით განსაზღვრული წესი გამოიყენება ნებისმიერი ვადის დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნული არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, განუსაზღვროს კონტრაჰენტს დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად.

8.5 ბანკი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ კონტრაჰენტი არ შეუდგება მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ მომსახურების წამოწყებისთვის განსაზღვრულია რამდენიმე ვადა, ამ პუნქტით განსაზღვრული წესი გამოიყენება ნებისმიერი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

8.6 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია განსხვავებული თარიღი. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულება დადასტურდება ელექტრონული ფორმით, დისტანციური საშუალებით (მათ შორის და არა მხოლოდ, ელექტრონული

ხელმოწერა, სკანირებულ დოკუმენტზე ხელმოწერა, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) ხელშეკრულებას გააჩნია სრული იურიდიული ძალა და ზემოხსენებული გარემოება არ გახდება ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

8.7 ხელშეკრულების თითოეული დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

_____

კონტრაჰენტი

_____

მხარეთა შორის ------ წელს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში ,,ხელშეკრულება") დანართი № ------

მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, მასზე ვრცელდება ხელშეკრულების პირობები და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად

შრომის უსაფრთხოების დაცვისათვის კონტრაჰენტის მიერ შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით, კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ მის მიერ სს ,,თიბისი ბანკთან" (შემდგომში ,,ბანკი") არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესრულებისას, უზრუნველყოფს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და სხვა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

1. ბანკის ტერიტორიაზე სამუშაოების შესრულებისას კონტრაჰენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი და მისი ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების, გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და კანონქვემდებარე აქტების დაცვა.

მათ შორის, კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ მინიმალურ მოთხოვნებს:

- კონტრაჰენტს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- კონტარაჰენტის კომპანიაში წარმოებს რისკების შეფასების დოკუმენტი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია რისკების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრის გზების დაგეგმვა და განხორციელება.
- კონტარაჰენტის კომპანიაში დასაქმებულებს უტარდებათ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე საჭირო სწავლება/ინსტრუქტაჟები (მათ შორის შრომის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი ნორმების, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სიმაღლეზე მუშაობის შესახებ, აგრეთვე სხვა სახის სწავლებებით სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე).
- კონტარაჰენტის კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებულებს:
  - ✓ უბედური შემთხვევაზე დაზღვევით (საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად);
  - ✓ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცფეხსაცმელი, სპეცტანსაცმელი, ტექნიკური აღჭურვილობა);
- მძიმე ტექნიკასა და ამწე საშუალებებს გავლილი აქვთ ტექნიკური შემოწმება კომპეტენტური ორგანოს მიერ;
- ამწე ტექნიკის ოპერატორებს გაჩნიათ ოპერატორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობები;
- ელექტრომექანიკოსებსა და სპეხიალური ცოდნის საჭიროების მქონე პირებს გააჩნიათ მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოწმობა);
- კონტარაჰენტის კომპანიაში წარმოებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, სამაშველო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა;
- კონტარაჰენტის კომპანიაში განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პასუხისმგებელი პირები და მათი მხრიდან წარმოებს შესაბამისი ჟურნალები (ალკოჰოლური თრობის კონტროლი, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის ჟურნალი და ა.შ.)
- შემოწმებული და გამართულია ტექნიკური აღჭურვილობა, რაც დასტურდება კვალიფიკაციური პირის მიერ გაცემული შემოწმების აქტით;
- სტაციონალური და გადასატანი ხარაჩოები, კიბეები, დაზგა დანადგარები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა ქარხნული წესითაა დამზადებული და დამონტაჟებული. ხარაჩოებს გააჩნიათ ტექნიკური პასპორტები ნათარგმნი ქართულ ენაზე.

2. კონტარაჰენტი უზრუნველყოფს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების მომენტისთვის, მის მიერ სათანადო წესით არის მიღებული/გაფორმებული კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებში ყველა საჭირო ნებართვა და შეთანხმება, ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოებისთვის;

3. კონტარაჰენტის ვალდებულებაა, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების კონტროლი იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც მოქმედი მოთხოვნა არის დადგენილი;

4. კონტარაჰენტი, რომელიც ასრულებს სამუშაოებს ბანკის ტერიტორიაზე სხვადასხვა ქიმიკატების გამოყენებით (გამხსნელები, საღებავები, ლაქები, წებო და ა.შ.) ვალდებულია მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების შესახებ, სამუშაოს პროცესში შეარჩიონ და გამოიყენონ ნაკლებად საშიში ქიმიური ნივთიერებები. ასევე უზრუნველყოს ბანკი შემდეგი ინფორმაციით: ა) ქიმიკატების დასახელება და მათი ეტიკეტირების სისტემა, ბ) უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის მეთოდები ექსპოზიციის თავიდან ასაცილებლად .

5. კონტარაჰენტი რომელიც ასრულებს სამუშაოებს ბანკის ტერიტორიაზე, ბანკის ტეროტიაზე ინციდენტისას, კონტარაჰენტის ხელმძღვანელი ან მის მიერ განსაზღვრული/უფლებამოსილი პირი ვალდებულია: ა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გასცეს სამუშაო პროცესისი შეჩერების ბრძანება, ბ) მოახდინოს თავისი თანამშრომლების ევაკუაცია და თავშეყრის ადგილზე მათი მობილიზება, გ) მოახსენოს თავშეყრის ადგილზე პასუხისმგებელ პირს მათი თანამშრომლების საერთო და ადგილზე გამოცხადებულთა რაოდენობა.

6. კონტარაჰენტის მიერ შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის და მისი პერსონალის მიერ შრომის დაცვის, სამრეწველო და სახანძრო უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის კონტროლს ახორციელებს კონტარაჰენტის პასუხისმგებელი პირი, ასევე ბანკის უფლებამოსილი პირი, კონტრაჰენტის მომსახურებების უსაფრთხოების დებულების შესაბამისად და კონტარაჰენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც სამუშაოების შესრულებისას იმყოფება ბანკის ტერიტორიაზე და რომლის მოვალეობებში შედის კონტარაჰენტის პერსონალის მიერ სამუშაოების შესრულების უსაფრთხოების სისტემატიური კონტროლი;

7. ბანკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ, სამუშაოების შესრულების დროს კონტარაჰენტის მიერ წინამდებარე დანართით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ბანკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, კონტარაჰენტის წარმომადგენლის მონაწილეობით, ადგენს „აქტს კონტარაჰენტის მიერ სამუშაოების შესრულების უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შესახებ“. ამის საფუძველზე შეიძლება შეჩერებული იქნას კონტარაჰენტის მიერ სამუშაოების შესრულება, აქტში ასახული დარღვევის აღმოფხვრამდე, იმ პირობით, თუ მოცემული დარღვევის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ შეუძლებელია. სამუშაოების განახლებას კონტარაჰენტი ახორციელებს დარღვევის აღმოფხვრის და ამის შესახებ ბანკის წერილობითი ინფორმირების შემდეგ. კონტარაჰენტის მიერ სამუშაოების შესრულების შეჩერება შრომის დაცვის მოთხოვნების დარღვევების შედეგად არ იწვევს სამუშაოების შესრულების ვადების შეცვლას, რომლებიც შეთანხმებულია მხარეთა მიერ;

8. კონტარაჰენტის მიერ საქართველოს შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, ასევე წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების სისტემატიური (ორზე მეტი) დარღვევის შემთხვევაში, ასევე, ერთჯერადი დარღვევის შემთხვევაში, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ან უკვე გამოიწვია უბედური შემთხვევა, ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და კონტრაჰენტს დააკისროს ამის შედეგად მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება;

9. კონტარაჰენტის ან მისი თანამშრომლების მიერ შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, შრომის ჰიგიენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და კანონქვემდებარე აქტების, ასევე წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში კონტარაჰენტი თვითონ აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე თუ აღნიშნულმა დარღვევებმა გამოიწვია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ბანკის დაჯარიმება/სანქცირება, კონტარაჰენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ჯარიმის/სანქციის შესაბამისი თანხა.

10. კონტარაჰენტის ან მისი თანამშრომლების მიერ შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, შრომის ჰიგიენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და კანონქვემდებარე აქტების, ასევე წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის, კონტარაჰენტი ბანკს უხდის ჯარიმას ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ოდენობით (პირგასამტეხლო მომსახურების არაჯეროვანი შესრულებისათვის)

11. კონტარაჰენტი სრულად აგებს პასუხს ბანკის წინაშე მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით მოწვეული კონტარაჰენტის მუშაკების ქმედებებზე.

კონტარაჰენტის დაუშვებელი დარღვევების ჩამონათვალი

1. სამუშაოების ჩატარება სწავლების გავლის გარეშე, ობიექტებზე ან სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების მიხედვით.

2. თუ კონტარაჰენტის თანამშრომელს არ აქვს, სამუშაო ადგილზე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც შევსებულია დადგენილი წესით.

3. სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის აუცილებელი საშუალებების გამოუყენებლობა.

4. მუშაკის მიერ სამუშაო ადგილის თვითნებური გაფართოება ან სამუშაო ადგილზე არყოფნა კონტრაქტით ან განკარგულებით დადგენილი სამუშაოების ხელმძღვანელის (მწარმოებლის) ნებართვის გარეშე.

5. კონტრაქტის დოკუმენტში მითითებული სამუშაოების წარმოების, შრომის დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

6. ობიექტების ტერიტორიაზე ყოფნა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული, ტოქსიკური თრობის (ინტოქსიკაციის) ნიშნებით.

7. კონტარაჰენტის მუშაკის მიერ საზოგადოების ქონებრივი საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტის დადგენა.

8. შინაგანაწესის დარღვევა.

9. ისეთი ინსტრუმენტის, მოწყობილობების და აღჭურვილობის გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამება შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.

10. ტვირთების გადაადგილება, რომელთა წონა აღემატება გამოყენებული მექანიზმების ტვირთამწეობას, ტვირთების გადაადგილება ტვირთამწე მექანიზმებით მაშინ, როდესაც საშიშ ზონაში ხალხია.

12. სარემონტო, ტექნოლოგიურ მოედნებზე მასალების განთავსება, განთავსების წესების დარღვევით.

13. მოწვევა გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც სპეციალურად ამისთვის არ არის გამოყოფილი.

14. მიწების (ტერიტორიის) დაბინძურება მათში დამაბინძურებელი ნივთიერებების (ნარჩენები, ნედლეული, მასალები, ჩამონადენები და ა.შ.).

15. წარმოქმნილი ნარჩენების, საშიში ნივთიერებების და მასალების შეგროვების, დროებითი შენახვის და შემდგომი გატანის წესების დარღვევა.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

_____

კონტრაჰენტი

_____